

საზოგადოების
დამოკიდებულება
სამოქალაქო
საზოგადოების
ორგანიზაციების მიმართ –
დისკუსიის პროცესის
ანგარიში

2012

სარჩევი

შესავალი.....	3
სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში	5
საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაჯერებელი მიზეზები.....	7
რეკომენდაციები	11

შესავალი

სამოქალაქო უფლებების დამცველ სამოქალაქო საზოგადოებას დემოკრატიზაციის პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. მას აქვს მექანიზმები მთავრობის ძალაუფლება შეზღუდოს და ის მოქალაქეთა წინაშე უფრო მეტად ანაგრიშვალდებული გახადოს, შეამციროს ძალადობისა და კონფლიქტების პოტენციალი, გააუმჯობესოს სოციალურ-ეკონომიკური გარემო, აამაღლოს საზოგადოების განათლების დონე, ხელი შეუწყოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სიღარიბის დაძლევაში.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის მოქალაქემ, ისევე როგორც ამ პროცესის მონაწილე ყველა დაინტერესებულმა მხარემ, სრულყოფილი წარმოდგენა იქონიოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ, დროულად და ეფექტურად დაუჭიროს მხარი სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს და, საჭიროების შემთხვევაში, იზრუნოს მის გაძლიერებაზე.

დღეს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დაინტერესებულია შეაფასოს, თუ რა გავლენას ახდენს სამოქალაქო სექტორი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და რამდენად ეფექტურია ის. კერძოდ, მომავალში საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით სამოქალაქო საზოგადოება ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს, თუ რამდენად იცნობს და იზიარებს სხვადასხვა ინტერესისა და იდენტობის მქონე ჯგუფი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დასახულ მიზნებსა და ღირებულებებს; რამდენად ფართოა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გავლენა საზოგადოებაზე, როგორია მათ შესახებ არსებული ცოდნისა და, ზოგადად, ნდობის დონე; რა არის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეები; როგორი გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას დღეს სექტორი, რა როლი ენიჭება დონორებსა და სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ეფექტიანობის გაზრდასა და მათი მონაწილეობის ამაღლებაში და სხვ.

საზოგადოებაში არსებული ინტერესის პასუხად, *2012 წ. მარტი-ივნისში ტრენინგებისა და კონსულტაციის ცენტრმა* საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეთავაზა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პროცესში, რომლის მიზანია დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითადი ინსტიტუტის, დამოუკიდებელი სამოქალაქო ასოციაციებისა და ორგანიზაციების გააქტიურება, მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ორგანიზებული იყო დისკუსიები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. დისკუსიებზე გამოთქმული ანალიზისა და მოსაზრებების საფუძველზე შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც შეძებისდაგვარად პასუხს სცემს სექტორის წინაშე არსებულ კითხვებს.

დოკუმენტის საბოლოო ვერსიაზე მუშაობის დრო დაემთხვა საქართველოში საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლას. როგორც აღმოჩნდა, 2012 წ. 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციები ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ. შესაბამისად, დოკუმენტზე მუშაობის ბოლო ეტაპზე გათვალისწინებული იყო სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების შეფასება ახალი პოლიტიკური კონტექსტის მიმართ და მათი აზრი უახლოეს

პერიოდში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა უფრო აქტიური ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტი ანალიტიკური და სარეკომენდაციო ხასიათისაა. დოკუმენტის პირველ ნაწილში განხილულია პოლიტიკური კონტექსტი და მისი განვითარების დინამიკა, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას უხდება არსებობა და გამოვლენილია ის პრობლემები, რომელიც პოლიტიკური ცხოვრებაში მის სრულყოფილ ჩართვას და მონაწილეობას ხელს უშლის. მათ დასაძლევად დოკუმენტის შემაჯამებელ ნაწილში მოცემულია შეხვედრებზე გამოთქმული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, ინიციატივები და ინოვაციური მოსაზრებები.

დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული მასალები ეფუძება 2012 წ მარტიდან კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრის მიერ ორგანიზებულ დისკუსიასა ციკლის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელიც, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა. ამ პერიოდში ოთხი თემატური დიკუსია იყო ორგანიზებული:

1. *„საზოგადოების დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ“ G-PAC - ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მთავარი საკითხები და პრობლემები;*
2. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ურთიერთობები;*
3. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და დონორების/საერთაშორისო საზოგადოების ურთიერთობები;*
4. *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სტანდარტები და თვითრეგულაციები.*

დოკუმენტს დანართების სახით თან ერთვის თემატური ანგარიშები, რომელიც მომზადებულია დისკუსიებსა და სამუშაო ჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე, ისევე, როგორც პროცესში მონაწილე პირთა სია.

პროექტი განხორციელდა პროექტის- **„დიალოგი სამოქალაქო სექტორის განვითარებისათვის“** ფარგლებში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის - „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების“ (G-PAC) მხარდაჭერით და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში

2005-2010 წლებში საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევა მიუთითებს, საქართველოს მოქალაქეების სამოქალაქო აქტიურობის დონე ძალიან დაბალია. ამ მოსაზრებას იზიარებს ასევე 2011 წლის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც *G-PAC* მხარდაჭერით ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის ან პროფესიული კავშირის წევრობას მოსახლეობის ძალიან მცირე რაოდენობა, მხოლოდ - 1% ადასტურებს, დაახლოებით 0.8 პროცენტი ოფიციალური კულტურული თუ სხვა რაიმე სპორტული კავშირის წევრია, ხოლო მხოლოდ არასრული 5% აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რაიმე სახის კავშირი ჰქონია. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პოლიტიკური აქტიურობის დონეც საკმაოდ დაბალია. პოლიტიკურ პარტიაში მოსახლეობის 1.7%-ია გაერთიანებული.

ამ კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რამდენადაც სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდული როლი და ნაკლები ჩართულობა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგზე, კერძოდ, იწვევს ხელისუფლების ნაკლებ ანგარიშვალდებულებასა და აქედან გამომდინარე ნაკლოვანებებს დემოკრატიული მმართველობაში, სირთულებს სამოქალაქო განათლებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ამიტომ, არსებულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის და ჩართულობის დონის გაზრდაზე. სწორედ ამ მიზნით, 2012 წ. მანძილზე საზოგადოებრივის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეისწავლეს პოლიტიკური კონტექსტი და გარემო, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას უხდება არსებობა; გამოავლინეს ის პრობლემები, რომელიც ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრებაში მის სრულყოფილ ჩართვას და მონაწილეობას ხელს უშლის. კერძოდ, წარმოდგენილ ანგარიშზე მუშაობისას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამოავლინეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაფერხებელი შემდეგი პრობლემები:

- ✓ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის ეთიკურ და პროფესიულ ღირებულებებზე შეთანხმების სირთულეები;
- ✓ სამოქალაქო სექტორის მიმართ ნდობისა და ცნობადობის დონის ნაკლებობა;
- ✓ ორგანიზაციული მენეჯმენტის და საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების ნაკლოვანებები;
- ✓ საზოგადოებასთან კომუნიკაციის დაბალი დონე და კოალიციური საქმიანობის შეზღუდული ხასიათი;
- ✓ ფილანტროპიის და სოციალური მეწარმეობის განვითარების დამაბრკოლებელი საკანონმდებლო გარემო;

- ✓ სახელმწიფოსა და დონორებთან თანამშრომლობის ნაკლოვანებები;
- ✓ სამოქალაქო სექტორის საქმიანობაში კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროს ნაკლებად პრიორიტეტულობა, რაც აბრკოლებს დასავლური ფასეულობების გავრცელებას და გაზიარებას საზოგადოებაში.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების ანალიზის საფუძველზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესახებ და ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები მათ დასაძლევად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემაჯავრობელი მიზნები

როგორც მუშაობის პროცესმა აჩვენა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის არაეფექტიანობის მიზეზები მრავალგვარია და უპირველეს ყოვლისა, ის უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების პროფესიული ეთიკის ნორმებსა და სტანდარტებზე შეთანხმების სირთულეებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროფესიული ეთიკის ნორმებზე სექტორის მუშაობის გამოცდილება საქართველოში უკვე არსებობს. მაგალითად, მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები 2004 წ. ეთიკის კოდექსის ფარგლებში ერთიან ღირებულებებზე, სტანდარტებზე და მათი რეალიზების მექანიზმებზე ერთბლივად შეთანხმდნენ. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ იდეის გარშემო ორგანიზაციების კრიტიკული მასა, 70-მდე ორგანიზაცია გაერთიანდა. ჯერ კიდევ 2004 წ. კოდექსის ფარგლებში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს ეთიკური ნორმების დაცვის პოლიციურ მეთოდზე, და ეთიკის კოდექსი უფრო დეკლარაციულ დოკუმენტად აღიარეს. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ეს ძალიან კარგი ინიციატივა 3 წლის შემდეგ დავიწყებას მიეცა. დღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები გამოხატავენ წუხილს იმის შესახებ, რომ 2004 წ. შემუშავებული ეთიკის კოდექსის მოქმედება შეჩერდა.

თავისი არსით ეთიკის კოდექსის შესრულება უნდა დახმარებოდა სექტორს საზოგადოებაში დადებითი იმიჯის შექმნაში. ამასთან, ეთიკის კოდექსზე შეთანხმება მიზნად ისახავდა სექტორის შიგნით თვითრეგულირების მექანიზმების, ორგანიზაციის შიდა დემოკრატიის განმტკიცებას, რისი დახმარებითაც სექტორს შეეძლო გაეზარდა საზოგადოების და დონორების ნდობა, გამხდარიყო უფრო ეფექტიანი და მოეპოვებინა მეტი გავლენა საზოგადოებაზე, მოეზიდა მეტი დონორი და გამხდარიყო უფრო მდგრადი. ამასთან, ორგანიზაციის გავლენისა და მდგრადობის ზრდა კოალიციების ფორმირებასაც შეუწყობდა ხელს. მისი მოქმედების შედეგად შეიძლება შექმნილიყო ერთბლივად აღიარებულ პრინციპებზე დაფუძნებული პლატფორმები, რომელიც უფრო მყარი და მდგრადია, შესაბამისად ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობები გამოუყენებელი დარჩა და დღის წესრიგში კვლევაც დგას სექტორის წარმომადგენლების მიერ ეთიკის ნორმებზე შეთანხმება და მათ ცხოვრებაში გატარების აქტუაურობა.

უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ სამოქალაქო სექტორის მიმართ ნდობისა და ცნობადობის დონის დაძლევა ხელს უშლის თავად ამ პრობლემის გაუცნობიერებლობა სამოქალაქო საზოგადოებას მიერ. ამის ნიშანია ის, რომ ნდობისა და ცნობადობის დაბალი დონის პრობლემა არ აისახება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული განვითარების სტრატეგიასა და გეგმებში. პრობლემის პრიორიტეტულობის აღიარების და გააზრების შემთხვევაში ერთ ცალკე აღებული ორგანიზაციას მეტი მოტივაცია ექნებოდა გაეუმჯობესებინა ინსტიტუციონალური მენეჯმენტი, ორგანიზაციის შიგნით დაენერგა დემოკრატიული მართვის პრინციპები, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, კოალიციური თანამშრომლობის გაფართოების და მოქალაქეებისათვის ახალი შესაძლებლობების შეთავაზების მიმართულებით, რაც პერსპექტივაში გაზრდიდა მისდამი ნდობისა და ცნობადობის ხარისხს.

სამოქალაქო სექტორი თვლის, რომ საზოგადოების წინაშე მეტი ანგარიშვალდებულება, ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

შეუწყობს ხელს საზოგადოების თვალში სექტორის ნდობის ამაღლებას. ამას გარდა, შესამჩნევია, რომ საზოგადოების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ინტერესთა ჯგუფები იღებენ მონაწილეობას სამოქალაქო აქტივობებში. ამის საპასუხოდ, მოხალისეობის ინსტიტუტის წახალისება, ახალგაზრდობის მოზიდვა, ასევე საპენსიო ასაკს მიღწეულ ადამიანების (როგორც სოციალურ ჯგუფები, რომელთაც მარგინალიზაციის გაცდა აქვს) და საზოგადოების სხვა ფენების ჩართვა განაახლებდა სექტორის შესაძლებლობებს, გახდიდა მას ინოვაციური მიდგომების მიმართ უფრო გახსნილს და მდგრადს. ახალგაზრდების გააქტიურება სექტორს სთავაზობს იაფი რესურსების, მეტი ინოვაციების და საზოგადოებასთან უფრო მრავალმხრივი უკუკავშირის დამყარების საშუალებას, რაც ზოგადად, სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს შეუწყობს კონკურენციის წახალისებას, რაც ზოგადად კარგია სექტორის განვითარებისათვის (სექტორში გაჩნდებიან ახალი ჯგუფები, მოვლენ ახალი ადამიანები, მაგალითად, სტუდენტები, სტუდენტური გაერთიანებები და გადარჩება ის, ვინც კონკურენტუნარიანი და ეფექტიანი არმოჩნდება).

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ასევე არასამთავრობო სექტორის საზოგადოებასთან კომუნიკაციის დაბალი დონე და ინფორმაციის ნაკლებობა არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. როგორც გამოცდილება აჩვენებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ სამიზნე აუდიტორიასთან გატარებული კომუნიკაციის ფორმები ნაკლებად მრავალფეროვანია, არ არის ხელმისაწვდომი თუნდაც ფეისბუქის საშუალებით. ამ პრობლემის დაძლევა ნაწილობრივ შესაძლებელი იქნება პიარ კამპანიების გაუმჯობესებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მაღალი რეპუტაციისა და კომპეტენციის ადამიანების მოზიდვით, ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების, მეთოდების დამკვიდრებით საზოგადოების ფართო ფენებზე გასვლის მიზნით და ასევე, ბენეფიციართან გრძელვადიანი, მჭიდრო თანამშრომლობით.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას განსხვავებული პრობლემებს აწყდებიან. მაგალითად, ხშირად ხდება, რომ ანალიტიკური საქმიანობის განმახორციელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელისუფლებასთან ურთიერთობის ფორმატი ვერ აღწევს მიზანს. არცთუ იშვიათად, მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა და მათ მიერ შექმნილი პროდუქტის მაღალი ხარისხისა, სახელმწიფო კონკრეტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას თავს არიდებს. შეიძლება, ორგანიზაცია დაიწუნონ იმის გამო, რომ მეტისმეტად კრიტიკულია.

ასევე, ხშირად ხდება, როდესაც ხელისუფლება პოლიტიკურ სივრცეში არასამთავრობო სექტორის ხილვადობის დაბალი დონის გამო არ მოიაზრებს მას როგორც საზოგადოებრივი დღის წესრიგის შემოქმედს და განიხილავს, როგორც უუნაროს, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. სექტორთან კომუნიკაციაში ხელისუფლება ხშირად ხაზს უსვამს, რომ დონორის მიერ გაცემული თანხის გარდა მათ უკან არავინ დგას, ეჭვქვეშ აყენებს სექტორის საქმიანობის ეფექტიანობას, და შესაბამისად უყურადღებოდ ტოვებს სექტორიდან წამოსულ ინიციატივებსა და რეკომენდაციებს.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ თავად ანალიტიკური ორგანიზაციების კომუნიკაციის სტრატეგია ხშირად არ არის მიმზიდველი სახელმწიფო უწყებებისათვის,

ასევე, მონიტორინგის და უფლებათადაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებიდან რაიმე სახის ინფორმაციის დროულად, ან სრულყოფილად მიღება რთულია. ის დრო, რომელიც განსაზღვრულია ინფორმაციის მისაღებად, თითქმის ყოველთვის ჭიანურდება და ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო უწყების მიერ გაცემული პასუხი არასრულია. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია პროფესიული სტანდარტების გაზრდა, და ხელისუფლებასთან საკომუნიკაციო არხების გამრავალფეროვნება.

სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები სახელმწიფოსთან ურთიერთობაში განსხვავებულ პრობლემებს აწყდებიან. სერვისების მიმწოდებლების საქმიანობა (მაგ. წამლების მიწოდების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, ფსიქოლოგიური დახმარების და ა. შ. პროგრამები) სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანებისთვის. იმ ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, ვისაც მიუღია გრანტი სახელმწიფოსაგან, მიღებული თანხა ხარისხიანი მომსახურებისთვის საკმარისი არ არის. ამავდროულად, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის მიზნით სერვისის მიმწოდებლები იმავედროულად მონიტორინგის და უფლებათადაცვით ორგანიზაციების ფუნქციას ითავსებენ, რაც თავისთავად პრობლემაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და დონორებს შორის ურთიერთობა. ამ ურთიერთობებში ხშირად არ არსებობს პარტნიორობის განცდა, თუმცა ორივეს აქვს ერთი მიზანი, რომ იმ ქვეყნის საზოგადოებამ და ბენეფიციარმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სადაც ოპერირება უხდება დონორს, მიიღოს მაქსიმალური სოციალური სარგებელი. დღეს საზოგადოების ერთ ნაწილში გაბატონებულია მოსაზრება, რომ დონორებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობები ცალმხრივი და დაუბალანსებელია, ეს დისბალანსი დევს იმ განსხვავებულ უფლებამოსილებებში, რაც დონორსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციას შორისაა.

ამასთან, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა აბსოლუტური უმეტესობა დამოკიდებულია საერთაშორისო დაფინანსებაზე, რადგანაც საერთაშორისო დონორებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების 95% -ზე მეტი მოდის. შესაბამისად, ძალიან ცოტაა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც ორგანიზაციულად მდგრადია და აქვს იმის საშუალება, მიუხედავად კონიუნქტურის ცვლილებისა, ყურადღება გაამახვილოს საკუთარ მისიაზე, დაიცვას საკუთრი მოსაზრებები დონორებთან ურთიერთობაში. უკანასკნელ წლებში სახელმწიფო დაფინანსება გახდა ალტერნატიული წყარო, თუმცა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ არის თანახმა მიიღოს სახელმწიფოსგან დაფინანსება.

ასევე, საერთაშორისო დონორები ნაკლებად უწყობენ ხელს ადგილობრივ დონეზე ფილანთროპიის განვითარებას. ასევე, ისინი არ ამჟღავნებენ ინტერესს მხარი დაუჭირონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ფანდრაიზინგული კამპანიების ჩატარებას, რაც არ უწყობს ხელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიებას და მდგრადობის განვითარებას. დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში დონორები ნაკლებად ახალისებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დამატებითი შემოსავლის მიღებას სამეწარმეო საქმიანობიდანაც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დონორები

აცხადებენ კონკურსს სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერაზე, ისინი ძალიან იშვიათად აძლევენ უფლებას პარტნიორ ორგანიზაციას – გაყიდონ წარმოებული პროდუქცია.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მხრიდან დონორების მიმართ გამოთქმული წუხილებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ დონორები ხშირად ზედმეტად მკაცრ ფინანსურ და ადმინისტრაციულ კონტროლს ამყარებენ გრანტის მიმღებ ინსტიტუტებზე, თუმცა სამოქალაქო სექტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ანგარიშვალდებულების არსებული ფორმა ეხმარება მათ განვითარდნენ ორგანიზაციულად, აიმაღლონ მართვის უნარები და ჩამოაყალიბონ უფრო ეფექტიანი და მედგრადი შიდა მენეჯმენტის სისტემა.

ამგვარად, მამავალში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სერიოზული ძალისხმევა უნდა გაიღონ იმისათვის, რომ დაფინანსების ფორმების მრავალფეროვნებას მიაღწიონ. მომავალში ქართული არასამთავრობო სექტორისათვის აუცილებელი გახდება უცხოელ დონორებთან ერთად სახელმწიფოს მხარდაჭერა, განსაკუთრებით ისეთი საქმიანობის მიმართ, რომელიც გულისხმობს სერვისების მიწოდებას, ადგილობრივ დონეზე ფილანთროპიის განვითარების ხელშეწყობას, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ „ფანდრაიზინგის“ კამპანიების ჩატარების მხარდაჭერა.

სამოქალაქო სექტორის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორების ანალიზისას, ასევე, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეიქმნა საქართველოში და უკავშირდება ხელისუფლებასთან სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ახალ პერსპექტივებს.

კერძოდ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ შექმნილი პოლიტიკურ კოტექსტის ანალიზის საფუძველზე საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები და შესაძლებლობები გაიხსნა ორივე - საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. თუმცა, სასურველია, რომ არასამთავრობო სექტორმა გაითვალისწინოს ვარდების რევოლუციის შემდეგ მიღებული გამოცდილება და კვლავაც განაგრძოს ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი, ანალიზი, შეფასება და კრიტიკა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სექტორის წარმომადგენლების მოსაზრება არ ემთხვევა საზოგადოების უმრავლესობის აზრს, და მას არაპოპულარულს გახდის.

ამასთან, 2012 წ. არჩევნების შემდეგ მედიის სექტორი უფრო გაიხსნა და გათავისუფლდა პოლიტიკური გავლენისაგან. შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება, ისარგებლონ ამ შესაძლებლობებით და საზოგადოებასთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ, აიმაღლონ სექტორის ცნობადობის დონე და იზრუნონ საზოგადოების გაცნობიერებაზე. ადრე მედია ნაკლებად ინტერესდებოდა არასამთავრობო სექტორით და ნაკლებად აშუქებდა მის საქმიანობას, დღეს ვითარება ამ მხრივ კარდინალურადაა შეცვლილი. თუმცა, სექტორში არავის აქვს ილუზია, რომ ეს ძალიან დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს.

რეკომენდაციები

წარმოდგენილი რეკომენდაციები ცალკეულ დისკუსიებისა და სამუშაო ჯგუფების მონაწილე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის არის შეთანხმებული. რეკომენდაციების დახმარებით ავტორები კონრეტული წინადადებებით მიმართავენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, კერძოდ სამოქალაქო სექტორს, სახელმწიფო უწყებებს და დონორებს, ხელი შეუწყონ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას. თუმცა, ამავე დროს რეკომენდაციების ავტორებს მიაჩნიათ, რომ მათ შესასრულებლად ძირითადი ინიციატივა სამოქალაქო სექტორიდან უნდა მოდიოდეს.

1. **ეთიკის კოდექსის მნიშვნელობის შესახებ დისკუსიების გაგრძელება** სტრუქტურირებული ფორმით. დისკუსიების მეშვეობით სექტორის წარმომადგენლების მოტივაციის გაზრდა ეთიკის კოდექსის პრინციპების დასაცავად. სასურველია, რომ დისკუსიებში ჩაერთოს უფრო მეტი ახლადშექმნილი, ისევე როგორც მეტი რეგიონული ორგანიზაცია.

მოსალოდნელია, რომ ასეთი დისკუსიის ფარგლებში ორგანიზაციები დაჯგუფდებიან რომელიმე ტიპის ეთიკის კოდექსის გარშემო (დეკლარაციული; მეთოდური მითითებები; ან სტანდარტები). რამდენიმე მათგანი შეიძლება გაერთიანდეს სამუშაო ჯგუფში ძველი, დეკლარაციული ტიპის ეთიკის კოდექსის განახლების მიზნით. ასეთი წესით შექმნილ სამუშაო ჯგუფში 10–15 ორგანიზაცია მაინც უნდა შედიოდეს. ამ ორგანიზაციების თანხმობის პირობებში შეიძლება ნაკლებად რესურსტევადი პროცესის პირობებში მოხდეს ეთიკის კოდექსის აღსრულების მექანიზმებზე შეთანხმება.

2. **ორგანიზაციული განვითარების** მიმართულებით მეტი ძალისხმევის ინვესტირება. უპირველეს ყოვლისა, უფრო კონკრეტული პროგრამული მიზნებისა და ამოცანების გამოყოფა და მიღწეული შედეგების დემონსტრირებაზე ზრუნვა.
3. **საზოგადოებასთან ანგარიშვალდებულების** უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, რაც გულისხმობს საქმიანობისა და დაფინანსების შესახებ ინფორმაციის რეგულარულ გამოქვეყნებას და გავრცელებას მათ შორის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების გამოყენებით.
4. **დონორების** მხრიდან მეტი ყურადღების გამახვილება ინსტიტუციური განვითარების გრანტების გაცემაზე, ისევე, როგორც თავისუფალი ღია კარის საკონკურსო პრინციპის მხარდაჭერაზე ინოვაციური იდეების წასახალისებლად.
5. **სტუდენტების და, ზოგადად, ახალგაზრდობის მოზიდვა** სამოქალაქო სექტორში სტაჟირის და მოხალისეობის ინსტიტუტის უფრო აქტიური განვითარებითა და წახალისებით. შესაძლებელია, მოხალისეთა აქტიური ჩართვა საზოგადოებასთან კომუნიკაციის კამპანიის პროცესებში და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისეთი ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერა, როგორცაა ახალგაზრდა კადრების რეკრუტირების საზოგადოებრივი ბაზრობის ორგანიზება.

6. თანამშრომლობის გაღრმავება-გამახვილება ახალგაზრდებსა და საპენსიო ასაკს მიღწეულ ადამიანებთან, როგორც სოციალურ ჯგუფებთან, რომელთაც მარგინალიზაციის განცდა აქვს. საპენსიო ჯგუფს შეიძლება ყველაზე მეტი უნდობლობა აქვს სექტორის მიმართ. ასეთი თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება ახალგაზრდებსა და საპენსიო ასაკს მიღწეულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ურთიერთსასარგებლო კომუნიკაციის რეჟიმის დამყარება.
7. საზოგადოებაში სამოქალაქო განათლების ინტენსიფიკაცია და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაყვანა, იმისათვის, რომ მოსახლეობამ მეტად გაითავისოს და აღიაროს ახალი ნორმები და ფასეულობები, რაც გულისხმობს: მეტ სამოქალაქო აქტივობას; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო კონტაქტს და სხვ. ამასთან, კულტურა, მეცნიერება და განათლება უნდა გახდეს პრიორიტეტული სამოქალაქო სექტორის საქმიანობაში, რადაგნაც სწორედ ეს მიმართულებები უზრუნველყოფს დასავლური ფასეულობების გაზიარებას.
8. ტრადიციულ მედიაში სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციების „პრომოუშენი“ ნდობის ამაღლების მიზნით შემდეგი მეთოდებით: „კარგი მაგალითი“ თუ ის თემში ავტორიტეტის მქონე პიროვნებების მიერ ვრცელდება; მოხალისეების წარმატებული ისტორიები, რომლებიც თავის გამოცდილებაზე ჰყვებიან; სოციალური რეკლამა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგად საზოგადოებაში საკმაოდ პოზიტიურად აღიქმება და სხვ.
9. საზოგადოებასთან კომუნიკაციის ფორმების გამრავალფეროვნება, მაგალითად, საზოგადოებრივი დებატების ხელშეწყობა სოციალურ ქსელების დახმარებით; ანალიტიკური ნაშრომების გასავრცელებლად მოკლე შინაარსის, ადვილად კითხვადი ფორმატის გამოყენება, რომელიც თავისუფლად იქნება ხელმისაწვდომი სოციალური მედიის მეშვეობით.
10. სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით დისკუსიების, მინი-გამოკითხვებისა და/ან ფოკუს ჯგუფების ჩატარება სამოქალაქო სექტორის დაფინანსების შესაძლო ფორმების შესწავლის მიზნით (სხვადასხვა ალტერნატივების განხილვის მიზნით, მათ შორის ე.წ. Percentage Laws კანონის მისაღებად, რომელიც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის თანხმობას მის მიერ გადახდილი თანხის გარკვეული პროცენტი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას მოხმარდეს).
11. სახელმწიფოსთან ერთად დონორების მხარდაჭერის გაძლიერება ისეთი საქმიანობის მიმართ, რომელიც გულისხმობს სერვისების მიწოდებას. ამ ორგანიზაციების სერვისი იმაზე მეტ ადამიანს სჭირდება, ვიდრე დღეს იღებს. სახელმწიფო უწყებების და სამინისტროების მიერ გრანტების გაცემა შედარებით ახალი ინიციატივაა და როგორც წესი, თანხები არ არის საკმარისი მსგავსი სამსახურის გასაწევად. დონორების მხარდაჭერა უფრო ეფექტიანს გახდოდა აღნიშნულ საქმიანობას.

12. საერთაშორისო დონორების მიერ ადგილობრივ დონეზე ფილანტროპიის განვითარების ხელშეწყობა, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ „ფანდრაიზინგის“ კამპანიების ჩატარების მხარდაჭერა.
13. კანონპროექტის შემუშავება, რომელიც წამახალისებს სოციალურ მეწარმეობას. დღეს სოციალური მეწარმეობის შესახებ არანაირი წამახალისებელი საკანონმდებლო რეგულაცია არ არსებობს და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბიზნესის პირობებში არიან ჩაყენებულნი.